

შპს „საქართველოს ველები“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "საქართველოს ველები"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
		ერთეული: 1 GEL		
		საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
		31.12.2020	31.12.2019	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		240773	5059	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1610763	1703142	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		88014		
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები		430876	95207	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა		430876	95207	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები		111780	121361	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები		116103		3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		2598309	1924769	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		6500	500	
სავაჭრო ვალდებულებები		2276904	1873961	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		600	600	3.4
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		234995		3.5
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები		2518999	1875061	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი		79310	49708	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი		79310	49708	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2598309	1924769	
სულ მოკლევადიანი აქტივები		2482206	1924769	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2284004	1875061	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 10.02.2022 წ.				
დირექტორი: _____		ზურაბ მარგველაშვილი		
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "საქართველოს ველები"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2020	2019	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	3302965	2940152	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	3302965	2940152	
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-3005663	-2704149	3.6
საერთო მოგება	297302	236003	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-19945		
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-2470		
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი (ნეტო)	-747		3.7
იჯარის ხარჯი	-5085	-3814	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-411620	-181363	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები	-439867	-185177	
საოპერაციო მოგება	-142565	50826	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	171969	-7569	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	198	6451	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	29602	49708	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	29602	49708	3.9
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	29602	49708	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	49708		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	79310	49708	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 10.02.2022 წ.			
დირექტორი: _____		ზურაბ მარგველაშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "საქართველოს ველები"			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2020	2019	
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	70419	2889	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-118573		
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	234248	600	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	186094	3489	
სავალუტო კურსის ეფექტი	49620	1570	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	5059		
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	240773	5059	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 10.02.2022 წ.			
დირექტორი: _____		ზურაბ მარგველაშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „საქართველოს ველები“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2019 წლის 7 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405323270, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ტ. ტაბიძის ქ. №57.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელები არიან ფიზიკური პირები:

ზურაბ მარგველაშვილი - 50% წილის მფლობელი;

გიორგი მარგველაშვილი - 50% წილის მფლობელი.

ეს ფიზიკური პირები იმავდროულად არიან კომპანიის დირექტორები.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საქართველოში წარმოებული ღვინის გაყიდვა საზღვარგარეთ (ექსპორტი).

1.4. კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი შეადგენდა: 2019 წელს - 2 კაცს; 2020 წელს - 2 კაცს.

ბუღალტრულ მომსახურებას აუთსორსინგის ხელშეკრულების საფუძველზე უწევს აუდიტური ფირმა - შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2019 წლიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია 2020 წლიდან

წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან

ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

ავეჯი - 10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე აღჭურვილობა - 4-5 წელი;

ინვენტარი, სპეციალური ინსტრუმენტები - 5-8 წელი;

ტრაქტორები და სასოფლო სპეცტექნიკა - 10-20 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2019-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და მისი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	18	18
ლარი საბანკო ანგარიშებზე	236044	4585
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	4711	456
სულ:	240773	5059

3.2. მარაგები:

მარაგები როგორც 2019 წლის ბოლოს (95207 ლარი), ასევე 2020 წლის ბოლოს (430876 ლარი) მთლიანად შედგება სს „თბილღვინოდან“ შესყიდული ბოთლებში ჩამოსხმული ღვინის პროდუქციისაგან. როგორც წესი, შესყიდული პროდუქცია 1-2 თვის ვადაში სრულად იგზავნება ექსპორტზე.

3.3. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

2019 წლის ბოლოს კომპანიას ძირითადი საშუალებები არ ჰქონია, ხოლო 2020 წლის ბოლოს ჰქონდა ერთი ძირითადი საშუალება - ტრაქტორი 118573 ლარის ღირებულების, რომელსაც 2020 წელს დაერიცხა ცვეთა 2470 ლარი. ეს ძირითადი საშუალება, როგორც სოფლის მეურნეობისთვის განკუთვნილი მოძრავი ტექნიკა, არ იბეგრება ქონების გადასახადით.

3.4. მოკლევადიანი სესხები:

კომპანიამ 2019 წელს თავისი დამფუძნებლებისაგან ისესხა 300-300 ლარი, სულ 600 ლარი, რომელიც არ არის დაბრუნებული გამსესხებლებისათვის 2020 წლის ბოლოსთვის. ეს სესხები უპროცენტოა.

3.5. გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
შელავათიანი გრძელვადიანი სესხი (მექანიზაცია) „საქართველოს ბანკიდან“	146102	
შელავათიანი გრძელვადიანი აგროსესხი „თიბისი ბანკიდან“	88893	
სულ:	234995	0

კომპანიამ 2020 წელს აიღო 2 შეღავათიანი სესხი:

„საქართველოს ბანკისგან“ სესხი (ტექნიკის შესყიდვაზე აღებული სესხი) მთავრდება 31.12.2026-ში;

„თიბისი ბანკის“ სესხი (ვენახის გაშენებაზე) მთავრდება 22.03.2026-ში.

სესხების ათვისება ხდება ნაწილ-ნაწილ, საჭიროებისამებრ.

3.6. ნეტო ამონაგები:

2019-2020 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა საზღვარგარეთ (ექსპორტზე) გაყიდული ღვინის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან, ხოლო გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება არის მისი შესყიდვის ფასი (დღგ-ის გარეშე).

	2020 წელი	2019 წელი
ამონაგები ღვინის პროდუქციის გაყიდვიდან (ექსპორტი)	3302965	2940152
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	-3005663	-2704149
სულ მოგება რეალიზაციიდან:	297302	236003

3.7. საპროცენტო ხარჯები:

2020 წელს, ბანკებისგან აღებულ შეღავათიან სესხებზე დარიცხული და გადახდილია პროცენტები 8741 ლარი, მაგრამ იმის გამო, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი - 7994 ლარი დაფარა სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტომ, კომპანიის ნეტო-საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 747 ლარი.

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2020 წელი	2019 წელი
რეკლამის ხარჯები	-378682	-167992
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-3600	-2133
საგადასახადო და საბაჟო ხარჯები	-4032	-2240
მიწოდების სხვა ხარჯები	-2972	-1924
საბანკო ხარჯები	-22033	-6958
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-301	-116
სულ:	-411620	-181363

3.9. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2019 წლის მოგებამ შეადგინა 49708 ლარი, ხოლო 2020 წლის მოგებამ - 29602 ლარი. 2019-2020 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდების განაწილება არ მომხდარა. შესაბამისად, 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენს 79310 ლარს.

3.10. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დამფუძნებლების/დირექტორების წინაშე არსებული ვალდებულებები პერიოდის ბოლოს:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიღებული უპროცენტო სესხი ზურაბ მარგველაშვილისგან	300	300
მიღებული უპროცენტო სესხი გიორგი მარგველაშვილისგან	300	300
სულ:	600	600

3.11. სასამართლო დავები:

კომპანიას 2019 და 2020 წლების განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელსაც. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

შექმნილმა სიტუაციის მიუხედავად, კომპანიას ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 10 თებერვლამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება


წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 10 თებერვალს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	240773	5059	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1610763	1703142	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	88014		
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები			
მარაგები	430876	95207	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია			
- სხვა	430876	95207	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	111780	121361	
ბიოლოგიური აქტივები			
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	116103		3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	2598309	1924769	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	6500	500	
სავაჭრო ვალდებულებები	2276904	1873961	
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი	600	600	3.4
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	234995		3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	2518999	1875061	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	79310	49708	
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	79310	49708	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2598309	1924769	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2482206	1924769	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2284004	1875061	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 10.02.2022 წ.

დირექტორი:  ზურაბ მარგველაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "საქართველოს ველები"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	3302965	2940152	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	3302965	2940152	
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-3005663	-2704149	3.6
საერთო მოგება	297302	236003	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-19945		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-2470		
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი			
საპროცენტო შემოსავალი	-747		3.7
საპროცენტო ხარჯი (ნეტო)	-5085	-3814	
იჯარის ხარჯი	-411620	-181363	3.8
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-439867	-185177	
სულ საოპერაციო ხარჯები	-142565	50826	
საოპერაციო მოგება			
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების	171969	-7569	
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.			
მიღებული დივიდენდები	198	6451	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი			
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	29602	49708	3.9
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	29602	49708	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:	29602	49708	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	49708		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში			
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	79310	49708	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 10.02.2022 წ.

დირექტორი:

ზურაბ მარგველაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "საქართველოს ველები"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	70419	2889
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-118573	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	234248	600
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	186094	3489
სავალუტო კურსის ეფექტი	49620	1570
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	5059	
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	240773	5059

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 10.02.2022 წ.

დირექტორი: 

ზურაბ მარგველაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.